# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 აპრილი, სამშაბათი, 1990 წ.
№ 72 (10 241) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


რაგბი

## ტესტ-მატჩი, ეროვნული ჩემპიონატი და სხვა შეხვედრები

**ზიმბაბვეში** თავის პირველ საზღვარგარეთულ ტურნეზე მყოფმა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სასტარტო შეხვედრაში უძლიერესი პროვინციული გუნდის იოლად დამარცხების შემდეგ შაბათს, ქალაქ ბულავაიოში პირველი ტესტ-მატჩი წააგო მასპინძელთა ეროვნულ ნაკრებთან — 16:22. აღსანიშნავია, რომ ამავე გუნდს ჩვენმა „შევარდნებმა" შარშან ქუთაისში გამართულ „ნათლობის" მატჩში ერთობ დამაჯერებლად სძლიეს.

ქართველი მორაგბეები ზიმბაბვეში კიდევ ორ თამაშს გამართავენ. ხვალ ისინი ქალაქ გვერუში შიგა ზიმბაბვეს (ე. წ. მიდლენდზის) პროვინციის გუნდს ეთამაშებიან, შაბათს, 21 აპრილს კი მასპინძელი ქვეყნის დედაქალაქ ჰარარეში მეორე ტესტს გამართავენ — კვლავ ზიმბაბვეს ეროვნულ ნაკრებთან.

* * *

**ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტური**

14 აპრილი

**ზოოვეტერინარული ინსტიტუტი (თბილისი) — რაგბის ასოციაცია (თბილისი) 12:30 (0:24).** ასოციაციელთა მაღალი კლასი და უკეთესი ოსტატობა თვალშისაცემი იყო. გამარჯვებულებმა შეხვედრის პირველი 50 წუთის მანძილზე ერთობ გაილაღეს, მათმა კარგად დარაზმულმა მორკინალეებმა მეტოქე უბურთოდ დატოვეს, თავადაც საკმაოდ უტიეს და უკანა ხაზიც ათამაშეს. ერთი სიტყვით, „ბებრებად" და „უპერსპექტივოებოდ" შერაცხული მოთამაშეებისაგან სახელდახელოდ შედგენილმა გუნდმა თავადაც იჯერა გული რაგბის თამაშით და მცირერიცხოვან მაყურებელსაც დიდი სიამოვნება მოჰგვარა. ასოციაციელებმა ხუთი ლელო გაიტანეს, მათმა დამრტყმელმა კურატიშვილმა კი ხუთივე გარდასახა. ამ დღეს თავი გამოიჩინეს აგრეთვე გეგიძემ, ბიძინაშვილმა, გაბრიჩიძემ, გარუჩავამ, მამრიკიშვილმა, გვიანიშვილმა... ერთი სიტყვით, მთელმა გუნდმა.

თამაშმა ერთი უსერიოზულესი პრობლემა — გაწაფულ მსაჯთა ნაკლებობა ხელახლა წამოატივტივა. ეროვნული ჩემპიონატების გამართვის განახლებამ ბევრი ძველი არბიტრი დაგვიბრუნა. ეჭვი არაა, მათ გულწრფელად სურთ, ეროვნული რაგბის აღორძინებას რომ შეეწიონ. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ 1970-იანი წლების, ანუ მას შემდეგ, რაც ძველი თაობა აქტიურ მოღვაწეობას ჩამოშორდა, რაგბი საგრძნობლად შეიცვალა — გახისტდა, გააგრესიულდა; შეიცვალა ზოგიერთი წესიც... ამიტომ ბუნებრივია, რომ მონაწილეთათვის ფაქტიურად უცნობი, თუმცაკი დარჯაკგამოვლილი არბიტრის ძველ ყაიდაზე მსაჯობამ მოთამაშენი, მეტადრე იმ გუნდისა, რომელიც აგებდა, ერთობ გაანაწყენა. საბედნიეროდ, საქმე აყალმაყალამდე არ მისულა, თუმცაკი ზოოვეტის გუნდმა, ერთი პირობა, მოედნის დატოვება დააპირა. წაგებულთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლეს და მეტისმეტად აღრეულ, ქაოსურ თამაშში, შეხვედრის დასკვნით 30 წუთში რომ მიმდინარეობდა, ორი „საპრესტიჟო" ლელოც გაიტანეს. გარდა ამისა, წაგებულებმა თამაშის შედეგი გააპროტესტეს. მართალია, ამთავითვეა ცნობილი, რომ რაგბის კავშირის წესრიგის კომიტეტმა, დებულების თანახმად, ეს პროტესტი უნდა უარყოს, მაგრამ ისიც საკითხავია, განა ასოციაციის გუნდს ასევე არ უშლიდა ხელს მსაჯის მიერ მოლებსა და რაქებში თამაშგარეს უგულებელყოფა, სხვა წვრილმანზე რომ აღარაფერი ვთქვათ? თუმცაკი, შეხვედრის გადათამაშება მაინც შესაძლებელია, თუკი გამარჯვებული კეთილ ნებას გამოავლენს და ამას დიდსულოვნად შესთავაზებს მეტოქეს. აი, აქ კი მართლაც რომ სწორი იყო ზოოვეტის მწვრთნელი, მატჩის შემდეგ გულდაწყვეტილი როცა ამბობდა. „მთავარი წესიერად თამაშია და არა მოგება-წაგებაო".

15 აპრილი

**ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — სამხატვრო აკადემია (თბილისი) 9:8 (6:0).** შემცვნულმა მორაგბეებმა თამაში ნაწვიმარზე დაიწყეს, დამთავრებით კი მზისა და ქარის წყალობით ამშრალ მოედანზე დაამთავრეს. ამინდის ჭირვეულობის გამო თუ იყო, ორივე გუნდი ერთობ არეულად, შეუწყობლად რომ თამაშობდა.

იხ. მე-3 გვ.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ქალთა შორის ჭადრაკში

## ლიდერობს ქეთევან არახამია

**მეოთხე ტური:** ხუგაშვილი — გაფრინდაშვილი 0:1, ქასოშვილი — კახიანი 1:0, არახამია — კობაიძე 1:0, ხურცილავა — ნიკოლაძე 0,5:0,5, ლანჩავა — მელაშვილი 0,5:0,5, გურიელი — ალექსანდრია 0,5:0,5. იოსელიანი — ხადუნიშვილის პარტია გადაიდო.

**მეხუთე ტური:** ნიკოლაძე — იოსელიანი 0:1, კახიანი — ლანჩავა 1:0, ალექსანდრია — არახამია 0:1, ხადუნიშვილი — ხუგაშვილი 0,5:0,5, მელაშვილი — ხურცილავა 0,5:0,5, გაფრინდაშვილი — გურიელისა და კობაიძე — ქასოშვილის პარტიები გადაიდო.

IV ტურის შესახებ გვესაუბრება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **გიორგი მაჭარაშვილი:**

— ტური დაიწყო ერთი საკმაოდ სწრაფი ყაიმით. გურიელი და ალექსანდრია ცნობილნი არიან, როგორც უკომპრომისო მოჭადრაკეები, მაგრამ, როდესაც 11 სვლის შემდეგ შავებმა ლაზიერის პაიკის დებიუტში სრულიად თანაბარი პოზიცია მიიღეს, მეტოქეებმა ამჯერად დაზავება არჩიეს. გაფრინდაშვილმა ხუგაშვილთან შავებით კარო-კანის დაცვა აირჩია. თეთრები არ გამოეკიდნენ თეორიულ დავას (ასეთი ტაქტიკა საერთოდ დამახასიათებელია ხუგაშვილისთვის) და ნაკლებად ცნობილ ვარიანტს მიმართეს. შეიქმნა სრულიად ორიგინალური პოზიცია, სადაც გაფრინდაშვილმა არათუ გაათანაბრა პოზიცია, არამედ უკეთესი შესაძლებლობებიც კი მიიღო. მაშინ თეთრებმა ცენტრალური პაიკი შესწირეს და გრძელი როქი გააკეთეს. მომდევნო ტაქტიკურ ბრძოლაში გაფრინდაშვილმა შეინარჩუნა უპირატესობა. თამაში გადავიდა ოთხი ეტლის ენდშპილში, სადაც თეთრები კვლავ დაზარალდნენ მატერიალურად და შეწყვიტეს წინააღმდეგობა. უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონმა მეტად თანმიმდევრულად წარმართა მთელი შეხვედრა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა [illegible] სოშვილ-კახიანის [illegible]. [illegible] საწყისში თეთრებმა რამდენადმე უკეთესი პოზიცია მიიღეს. მაშინ კახიანმა შესწირა მხედარი და შეეცადა დაესუსტებინა მეტოქის მეფის ფრთა. უნდა ითქვას, რომ კომპენსაცია აშკარად არასაკმარისი აღმოჩნდა. ქასოშვილმა კარგად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა და გაიმარჯვა. ეს კახიანის პირველი დამარცხებაა.

არახამიამ ესპანურ პარტიაში, ხანგრძლივი თამაშის შემდეგ, მორიგი გამარჯვება იზეიმა კობაიძესთან, ხურცილავა — ნიკოლაძისა და ლანჩავა — მელაშვილის პარტიებში კი, მეტად მძაფრი და არცთუ უშეცდომო ბრძოლის შემდეგ, ყაიმები აღინიშნა. იოსელიან-ხადუნიშვილის პარტია გადაიდო თეთრების უპირატესობით.

V ტურის შესახებ გვესაუბრება...

იხ. მე-2 გვ.



საქართველოს ქალთა 46-ე ეროვნული ჩემპიონატის მსაჯთა კოლეგია (მარცხნიდან): მსაჯი ლეილა ნაჭყებია, მთავარი მსაჯი ლილი წეროძე, მსაჯი მაყვალა ხანთაძე, მთავარი მსაჯის მოადგილე გიორგი ფამილიანტი, მსაჯი-მდივანი ევგენი მელიქსეთ-ბეგი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## „დერბი-91"

**საცხენოსნო** სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (ფეი) გადაწყვიტა ევროპაში 1991 წელს წინაღობათა გადალახვაში გამართულ შეჯიბრებების სერიას დაარქვას „დერბი". ასპარეზობა რამდენიმე ეტაპისგან შედგება და გაიმართება მალმიოში (შვეცია), ლია-ბოლეში (საფრანგეთი), მილსტრიტში (ირლანდია), ჰიკსტედში (დიდი ბრიტანეთი) და ჰამბურგში (გფრ). საერთო საპრიზო ფონდი მილიონ შვედურ კრონს შეადგენს.

## იძულებითი კორექტივები

**გასულ** ხუთშაბათს „ქალგირისის" კალათბურთელთა კლუბის პრეზიდენტმა ანტანას სნაჟესმა შეატყობინა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" რედაქციას, რომ „დასავლეთისა" და „აღმოსავლეთის" ნაკრები გუნდების მატჩში ლიტველი კალათბურთელები მონაწილეობას არ მიიღებენ. ანალოგიური წერილი მიიღო სსრ კავშირის კალათბურთის ფედერაციამაც.

ცნობილი გახდა ისიც, რომ კალათბურთის ფესტივალზე ვერ გამოვლენ ტალინის „კალევის" მოთამაშე სერგეი ბაბენკო და თბილისის „დინამოს" საუკეთესო სნაიპერები გელა დარსაძე და გია სანაძე. ისინი ტრავმირებულები არიან. საკონკურსო შეჯიბრებაში მონაწილეობას ვერც თბილისელი კახაბერ შენგელია მიიღებს, ვინაიდან იგი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაშია შეყვანილი და ფესტივალის დღეებში მოსკოვში არ იქნება.

„დასავლეთის" ნაკრების მწვრთნელმა, ლენინგრადელმა ვლადიმერ კონდრაშინმა განაცხადა, რომ გუნდში ერთგვარი ცვლილებები მოხდა. შემადგენლობაში მიწვეული არიან მოსკოვის დინამოელები დიმიტრი სუხარევი და ვალერი სიზოვი, აგრეთვე, მოსკოვის არმიელი სერგეი ტარაკანოვი. სნაიპერთა კონკურსში დამატებით იასპარეზებს ნოვოსიბირსკის „ლოკომოტივის" მოთამაშე სერგეი ბაბკოვი.

## როცა ასეთი მხარდაჭერაა

ყველასთვის ცნობილია, თუ რა დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენში ძიუდო. გვაქვს ამ ჭიდაობის აღიარებული ცენტრები გორში, თბილისში, ქუთაისში, ახმეტაში... ახლა კი ძიუდოს „რუკაზე" გაჩნდა ახალი რეგიონი — ვანი, სადაც ახალგაზრდობა წარმატებით ეუფლება იაპონური ჭიდაობის საიდუმლოებას, მწვრთნელის ნუგზარ მანაგაძის ხელმძღვანელობით. მას მხარში უდგას რაიონის ხელმძღვანელობა, რომელიც ყველაფერს აკეთებს ვანში ძიუდოს განვითარებისათვის. სწორედ ამიტომ „შევარდენმა" ვანში ამას წინათ, საზოგადოების რესპუბლიკური პირველობა ჩაატარა 13-14 წლის ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 21 რაიონისა და ქალაქის 250-მდე ნორჩმა ათლეტმა.

დაძაბულ და საინტერესო ორთაბრძოლებში თავი გამოიჩინეს ახმეტის, ქუთაისის, აჭარის, დუშეთის, რუსთავისა და ქარელის გუნდებმა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსნი არიან ვანელი სპორტსმენები: თ. ბელთაძე, გ. ტყეშელაშვილი, მ. მაჭარაძე და მ. შენგელია, რომლებმაც პირველობა არავის დაუთმეს.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ, შეირჩა სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ნაკრების გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ პირველობაში.

გაგაცნობთ გამარჯვებულთა ვინაობას წონით კატეგორიების მიხედვით: ზ. ჯიმშიტაშვილი (ახმეტა), ი. მიშელაშვილი (დუშეთი), ს. იმერლიშვილი (რუსთავი), ი. ქოთოლაშვილი (ქარელი), თ. ბელთაძე, გ. ტყეშელაშვილი, მ. შენგელია (სამივე — ვანი); გ. ონიაშვილი (ახმეტა), მ. მაჭარაძე (ვანი), ვ. კახიძე (აჭარა); ლ. [illegible]უა (ქუთაისი).

**იური იმერლიშვილი,**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

## კეთილი ნების სპორტი

**წყნარი** ოკეანის სანაპიროზე მდებარე ქალაქი სიეტლი მოუთმენლად ელის 20 ივლისს. ამ დღეს დაიწყება და 5 აგვისტომდე გასტანს კეთილი ნების მეორე თამაშები. ქალაქში უკვე ყველაფერი მზადაა მონაწილეების, ტურისტთა და საპატიო სტუმრების მისაღებად.

კალათბურთელ ვაჟთა გუნდები განაწილებული არიან პირველსა და მეორე ჯგუფებში. პირველ ჯგუფში მოხვდნენ: იუგოსლავიის, ბრაზილიის, ესპანეთისა და ავსტრალიის გუნდები. ექსპერტების აზრით უფრო ძლიერი კოლექტივებია თავმოყრილი მეორე ჯგუფში, სადაც შევიდნენ: აშშ-ის, საბჭოთა კავშირის, იტალიისა და პუერტო-რიკოს კალათბურთელები. თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის ჯიმ შელდონის განცხადებით კალათბურთელ ვაჟთა ტურნირი დაიწყება „სენტრ კოლიზეუმში" 23 ივლისს სსრ კავშირისა და იტალიის ნაკრებთა მატჩით.

ფრენბურთელ ვაჟთა ასპარეზობის სტარტი 30 ივლისისთვისაა დანიშნული — ამ დღეს მოედანზე გამოვლენ იტალიისა და არგენტინის სპორტსმენები. ჰოკეისტები ურთიერთობის გარკვევას დაიწყებენ 27 ივლისს „ტრი-სიტიზ კოლიზეუმში". სასტარტო მატჩში ერთმანეთს ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის ჰოკეისტები შეხვდებიან. ჰოკეისტთა პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ საბჭოთა კავშირის, აშშ-ის, გფრ-ისა და შვეიცარიის წარმომადგენლები, მეორე ჯგუფში კი ზემოდასახელებული ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის გუნდების გარდა ითამაშებენ კანადისა და ფინეთის ჰოკეისტები. ფინალური მატჩი დანიშნულია 5 აგვისტოსათვის.

საორგანიზაციო კომიტეტის ბოლო ბიულეტენში აღნიშნულია, რომ მატჩებზე დასასწრები 1,1 მილიონი ბილეთიდან უკვე გაიყიდა 451 901.

შეჯიბრებები სპორტის 21 სახეობაში სიეტლის გარდა ჩატარდება ტაკომში, ტრი-სიტიზში და რედმონდში, აგრეთვე, დასავლეთის სანაპიროს კიდევ რამდენიმე ქალაქში. უკვე გაიყიდა კალათბურთელთა, ჰოკეისტთა და ფრენბურთელთა მატჩების ყველა ბილეთი, რომლებშიც საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების გუნდები მონაწილეობენ. ბილეთების შოვნა აღარ შეიძლება, ასევე, მოცურავეთა, სინქრონისტთა და ძიუდოისტთა ტურნირებზე.

ამ საერთო მხარდაჭერისა და აჟიოტაჟის ფონზე დისონანსად ჟღერს ზოგიერთი ექსტრემისტული ორგანიზაციის გამოხდომანი, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ თამაშების ნორმალურ ჩატარებას. ამ მხრივ აქტიური პოზიცია უკავიათ „ამერიკული წარმოშობის ლიტველთა ერთიანობის" წარმომადგენლებს, რომელთა ლიდერი ვალდას ადამკასი ამ დღეებში ჩიკაგოში შეხვდება თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს ბობ უოლშს და მასთან ერთად განიხილავს შესაძლო ბოიკოტის მიზანშეწონილობას.

თავად უოლშის პოზიცია ამ საკითხში ადრევე იყო ცნობილი. იგი თამაშების მთავარი ორგანიზატორი გახლავთ და ბოიკოტის იდეას, ცხადია, არ იზიარებს. ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტთან ინტერვიუში მან განაცხადა, რომ „ლიტვაში შექმნილია საკმაოდ რთული მდგომარეობა და მისი გადაწყვეტა ამ გზით ვერ მოხერხდება.

# ლიდერობს ქეთევან არახამია

(დასასრული)

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **შალვა თოთლაძე:**

— დიდი ინტერესი გამოიწვია ორმა ცენტრალურმა პარტიამ: გაფრინდაშვილი ხვდებოდა გურიელს, ალექსანდრია — არახამიას.

გურიელმა მოულოდნელად გამოიყენა მივიწყებული რომანტიკული დებიუტი — ბუდაპეშტის გამბიტი. შავები უკვე მე-2 სვლაზე წირავენ პაიკს და ცდილობენ ინიციატივის დაუფლებას. გაფრინდაშვილი არ ცდილა ამ პაიკის შენარჩუნებას და ერთგვარი პოზიციური უპირატესობით დაკმაყოფილდა. შემდეგში მდგომარეობის მნიშვნელოვანი გამარტივების მიუხედავად სიმწვავე არ დამცხრალა. გაფრინდაშვილის კუ შავების მხედარზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, მაგრამ გურიელი ზუსტად იცავდა თავს და არ დაუშვა მეტოქის მეფის საკუთარ ბანაკში შეჭრა. პარტია გადაიდო დაახლოებით თანაბარ პოზიციაში.

მეტად მწვავე გამოდგა ალექსანდრია — არახამიას შეხვედრა. დაძაბულობა დიდი იყო, ამიტომ გასაგებია, რომ ორივე დიდოსტატი ბევრს ფიქრობდა. მოახლოვდა ორმხრივი ძლიერი ცაიტნოტი. მეტოქეები სვლების ჩაწერასაც კი ველარ ასწრებდნენ. საინტერესოა, რომ არახამიას ჯერ ზედმეტი პაიკი ჰქონდა, შემდეგ მატერიალური წონასწორობა აღდგა. მომდევნო კომბინაციური შეხლა-შემოხლა იმით დამთავრდა, რომ არახამიას ზედმეტი ხარისხი დარჩა, თუმცა თეთრებმა საკმარისი კომპენსაცია მიიღეს. საბოლოო შეცდომა მაინც ალექსანდრიას მოუვიდა და მან შეწყვიტა კიდეც წინააღმდეგობა.

იოსელიანმა შავებით მატერიალური უპირატესობა მიიღო ნიკოლაძესთან. ბოლოს თამაში გადავიდა ენდშპილში, სადაც თეთრებს კუ და სამი პაიკი ჰყავდათ, იოსელიანს კი ეტლი და ორი პაიკი. დიდოსტატმა გააქტიურა მეფე, რამაც გადაწყვიტა კიდეც პარტიის ბედი. კობაიძე—ქასოშვილის გადადებულ პარტიაში გორელ საერთაშორისო ოსტატს ზედმეტი პაიკი და აშკარად უკეთესი პოზიცია აქვს. საინტერესო ბრძოლით აღინიშნა სადუნიშვილ—ხუგაშვილისა (იგი ძლიერი ორმხრივი ცაიტნოტით დამთავრდა) და მელაშვილ—ხურცილავას პარტიები. ორივეში საყაიმო შედეგი ობიექტურია.

საინტერესოა, რომ 5 ტურის შემდეგ სულ სამი დიდოსტატი რჩება დაუმარცხებელი: გაფრინდაშვილი, არახამია და გურიელი. ეს ბრძოლის დიდ სიმწვავეზე მეტყველებს.

**მონაწილეთა მდგომარეობა 5 ტურის შემდეგ: 4 ქულითა და 1 გადადებული პარტიით პირველ ადგილზეა არახამია. გაფრინდაშვილი — 3,5 ქულა (1 გადადებული), კახიანი — 3 (1), ლანჩავა—3, გურიელი — 2,5 (1 გადადებული და 1 გამოტოვებული პარტია), ქახოშვილი — 2,5 (1), მელაშვილი —2 (1), ხუგაშვილი — 2, იოსელიანი— 1,5 (1 გადადებული და 1 გამოტოვებული პარტია), ალექსანდრია და სადუნიშვილი — 1,5-1,5, ნიკოლაძე და ხურცილავა — 1-1, კობაიძეს ჯერ ქულა არა აქვს.**

## გულშემატკივართა აზრი

## ამირან ნიკოლაიშვილი, იურისტი

**მახსოვს** საქართველოს ჩემპიონატები ქსენია გოგიავას, ლილი გელოვანის, ვარვარა ზარგარიანის მონაწილეობით. მას შემდეგ 40 წელი გავიდა... მიმდინარე პირველობას მინდა სუპერჩემპიონატი ვუწოდო. მსოფლიოში ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებდა ესოდენ ბრწყინვალე ტურნირის ორგანიზებას. თუმცა, მინდა ერთი, დარწმუნებული ვარ, სამართლიანი სინანული გამოვთქვა: საქართველოს შარშანდელ ჩემპიონატში გაიმარჯვეს ნორჩმა მოჭადრაკეებმა ნინო ხურციძემ და ნათია ჯანჯღავამ. ჩემპიონობა იმას ნიშნავს, რომ შემდგომ ასეთ შეჯიბრებაში პირდაპირ, პერსონალურად მიგიწვიონ. ახლა კი რა გამოვიდა? ამ გოგონებს დაუმსახურებლად, მკაცრად მოვექეცით, შესარჩევ შეჯიბრებაზე ვათამაშეთ, რის შედეგადაც ახლა არც ერთი მონაწილეობს ამ სუპერჩემპიონატში და არც მეორე. რამდენად სწორი იყო ეს გადაწყვეტილება?!

# არის ინვალიდთა ფედერაცია!

**სულ** ნახევარ წელიწადს ითვლის სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაცია. და აი, ახლა ინვალიდებს თავიანთი საკუთარი ეროვნული სპორტული ფედერაციაც აქვთ.

ამ დღეებში გაიმართა რესპუბლიკის ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის დამფუძნებელი კონფერენცია. უცმა რომ თქვას, კარგა ხანია მომწიფდა ეს საკითხი, ვინაიდან 5,5-მილიონიან საქართველოში 200 ათასამდე ინვალიდია, რომელთა დიდ ნაწილს სურვილი აქვს, შეძლებისდაგვარად, ჩაებას ფიზკულტურასა და სპორტში. სწორედ ეს ფრიად საპატიო მისია ეკისრება ახლად შექმნილ ფედერაციას. ალბათ ბევრმა არც იცის, რომ საქართველოში დღეს გვყავს მსოფლიოს ჩემპიონებიც და პრიზიორებიც, მსოფლიოს რეკორდსმენებიც ინვალიდთა შორის. ასე, მაგალითად, ოსტატობის კანდიდატი რ. ფოლადაშვილი ყრუთა შორის მსოფლიო ჩემპიონია ძიუდოში, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორია აგრეთვე, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში; ოსტატობის კანდიდატი ვ. მუსაევი და ვ. კარიბოვი — ახალი ზელანდიის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსნები არიან თავისუფალ ჭიდაობაში, ოსტატობის კანდიდატი ა. ნადირაძე — მსოფლიოს რეკორდსმენია 1.500 და 5.000 მეტრზე რბენაში უსინათლოთა შორის. დიდი წარმატებები აქვთ საქართველოს ინვალიდ სპორტსმენებს ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, შაშში. ისინი საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების გამარჯვებულები და პრიზიორები არიან.

როგორც წესი, ინვალიდ სპორტსმენთათვის ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქებში, ასევე ოთხ წელიწადში ერთხელ, იმართება დიდი საერთაშორისო ასპარეზობანი. ბოლო ასეთი შეჯიბრება სეულის ოლიმპიადის დამთავრებისთანავე გაიმართა. მასში 4.500 ინვალიდმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა სპორტის 15 სახეობაში. გარდა ამისა, ეწყობა მსოფლიოს ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ყოველივე ამის შესახებ მოახსენა შეკრებილთ თავის გამოსვლაში ფედერაციის საინიციატივო ჯგუფის წევრმა გიორგი შერმადინმა.

კამათში გამოსულთა მეტმა წილმა საქმიანი, პრაქტიკული დახმარება აღუთქვა ინვალიდ სპორტსმენთა ფედერაციას. ასე, მაგალითად, ექიმებმა თენგიზ ქუთათელაძემ, დიმიტრი წვერავამ, გიორგი მიქელაძემ სამედიცინო დახმარება შესთავაზეს მათ, სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჯიმი მიქელაძემ, სპორტკომბინატ „დინამოს" დირექტორმა ვაჟა ქღენტმა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ომარ გოგიაშვილმა, საქართველოს სოცუზრუნველყოფის მინისტრმა ვილი კაჭარავამ თავიანთ სპორტულ ბაზებზე უიჯარო მზადება და შეჯიბრებების ჩატარება აღუთქვეს ინვალიდთა ფედერაციას. მწერალმა გურამ ფანჯიკიძემ შეფობა გამოუთქვა ინვალიდთა მომავალ საფეხბურთო გუნდს, მანვე დავით აღმაშენებლის საზოგადოების გადაწყვეტილებით გამოაცხადა, რომ ამ გუნდს სრულ ფორმას შეუძენენ უსასყიდლოდ. რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ირაკლი სულაბერიძე დაპირდა ფედერაციას სპორტსმენთა კვებისა და ინვენტარის შეძენის საკითხების მოგვარებას. გამოითქვა საინტერესო წინადადება საქართველოს სპორტსმენ ინვალიდთა ოლიმპიადის ჩატარების თაობაზე. საქმიანი, კონკრეტული დახმარების წინადადებებით გამოვიდნენ აგრეთვე ამირან აბესაძე (სპორტსაზოგადოება „შევარდენი"), რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელი ავრორა დოჩია, ავთანდილ ნარიმანიძე (გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა), ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის თანამშრომელი მიხეილ კუტუბიძე, ექვსი შვილის დედა მარინა სვანიძე და სხვა.

დამფუძნებელმა კონფერენციამ, რომელსაც საქართველოს ინვალიდთა ასოციაციის პრეზიდენტი ზაზა სიხარულიძე უძღვებოდა, კენჭის ყრით აირჩია ფედერაციის ხელმძღვანელობა და პრეზიდიუმი 11 კაცის შემადგენლობით. ფედერაციის პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს გიორგი ძნელაძე, ვიცე-პრეზიდენტად — გიორგი შერმადინი.

**ოთარ ოთარაშვილი.**

* * *

**ეს ფოტოსურათი აშშ-ს ქალაქ სიეტლშია (ვაშინგტონის შტატი) გადაღებული. როგორც ხედავთ, უკომპრომისო ბრძოლა ფეხბურთის მინდორზე ინვალიდ სპორტსმენებსაც ძალუძთ.**



# ...და რუსუდან გოლეთიანიც



**გულახდილად** უნდა ითქვას. რომ სოხუმელი მოჭადრაკეები დიდი წარმატებებით ვერ გვაკვირვებენ და, ბუნებრივია, არც შესაფერისი საჭადრაკო ტრადიციები მოსდევს ამ ქალაქს, მით უმეტეს, ქალთა ჭადრაკში. ამ ფონზე განსაკუთრებით სასიხარულოა სოხუმის მე-11 ქართული საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლის რუსუდან გოლეთიანის ბოლოდროინდელი წარმატებები, რაც საფუძველს გვაძლევს თამამად განვაცხადოთ — მისი სახით საქართველოს მოჭადრაკე ქალთა სახელოვან კოჰორტას კიდევ ერთი ღირსეული წევრი შეემატა.

ჯერ იყო და თებერვლის დასაწყისში ბელორუსიის ქალაქ გომელში გამართულ საბჭოთა კავშირის პირველობაში (გოგონათა შორის) რუსუდანმა საერთო ჩათვლაში მესამე-მეოთხე ადგილი გაიყო თბილისელ თამრიკო ფაჩულიასთან ერთად, ხოლო 12 წლამდე გოგონებს შორის (ჩემპიონატში ორი ჯგუფი ასპარეზობდა — 12 და 14 წლამდე) გოლეთიანმა დაიკავა პირველი ადგილი და გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

ამას წინათ კი ქალაქ ვოროშილოვგრადში გამართულ 12 წლამდე გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში რუსუდან გოლეთიანმა დაიკავა პირველი ადგილი და მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ეს შეჯიბრება გაიმართება აგვისტოში სინგაპურში. იქ, როგორც ცნობილია, გამოვა აგრეთვე ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი, ბათუმელი დიანა დარჩიაც.

ჩვენთან საუბარში გოლეთიანის ერთ-ერთმა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა მიხეილ იაილიანმა (მასთან ერთად ნორჩ ჩემპიონს ავარჯიშებს სპორტის ოსტატობის კანდიდატი ნოდარ გელენავა) თქვა, რომ ვოროშილოვგრადში გამართულ ტურნირზე რუსუდანმა მოაგროვა 7,5 ქულა 10 შეხვედრიდან (6 მოგება, 3 ფრე, 1 წაგება) და დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი. მეორე-მესამე ადგილი 6-6 ქულით გაიყვეს ვოროშილოვგრადელმა ნატალია კისელიოვამ და ერევნელმა ელინა დანიელიანმა. 5 ქულით მეოთხე ადგილზე გავიდა ქუთაისელი მოსწავლე ნათია აფხაიძე.

ახლა რუსუდანი ემზადება მომავალი შეჯიბრებებისათვის. სინგაპურში დაგეგმილ მსოფლიო ჩემპიონატის წინ რუსუდანი მიიღებს მონაწილეობას რამდენიმე ტურნირში, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მოზარდთა საერთაშორისო ტურნირი საფრანგეთში, რომელსაც ივნისში პარიზი უმასპინძლებს.

**თენგიზ პაჭკორია,**
**„ლელოს" კორ.**

სოხუმი.

**სურათზე: რუსუდან გოლეთიანი და მისი მწვრთნელები— ნოდარ გელენავა და მიხეილ იაილიანი.**

**შუქრი დგებუაძის ფოტო.**

# ქვახვრელელ სპორტსმენთა კლუბი

**ქვახვრელის** სასოფლო კლუბის გამგეს ვანო მუსხელაძეს მუდამ მიაჩნდა, რომ სოფლად არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო კერები ფიზკულტურის მასობრივი განვითარების ერთ-ერთი ქმედითუნარიანი მექანიზმი იყო სოფელში და აეკვიატა სპორტის მოყვარულთა კლუბის შექმნის იდეა, მაგრამ უცებ არ გადაუდგამს ნაბიჯი. ამ საკითხზე ბევრს მოეთათბირა სოფელში. ყველა თანახმა იყო — ვეტერანებიც, მოქმედი ფიზკულტურელებიც, ჭაბუკებიც და გოგონებიც. თაოსნობა „ზემოთ" მოუწონეს და დახმარება აღუთქვეს.

— ეს იყო მთავარი ჩემთვის — ამბობს სასოფლო კლუბის გამგე — სიმართლე გითხრათ, მანამდე ფეხი უკან მედგა, ვაითუ მეტიჩრობაში ჩამომართვან-მეთქი და რაკი პირიქით მოხდა, რწმენა გამიორკეცდა, რომ სოფელში კარგ საქმეს ვუყრიდი საფუძველს. შემდეგ ერთი ნაბიჯითაც აღარ დამიხევია უკან...

მას მხარში ამოუდგნენ ახალგაზრდები და „მოხუცები". ათობით მათგანმა გამოთქვა სურვილი ჩაბმულიყო გამაჯანსაღებელ ჯგუფებში და შედეგმაც არ დააყოვნა. პირველმა ღონისძიებამ, რომელზეც მტრის ხელით ვერაგულად დაღუპული იასონ გაბინაშვილის და ზაქარია ჯანეზაშვილის სახელობის პრიზი გათამაშდა ფრენბურთში, იმდენი მსურველი მიიზიდა, რომ შეხვედრები ოთხ ჯგუფად გაიმართა. საინტერესოა, რომ ვეტერანებმა, რომელთა საშუალო ასაკი ორმოც წელს იყო გადაცილებული, ტოლი არ დაუდეს ახალგაზრდობას და თვითონ გახდნენ ამ ღირსსახსოვარი პრიზების პირველი მფლობელნი. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ შალვა აბრამაშვილი, ლერი და ალექსანდრე სადალაშვილები, რეზო მამისაშვილი, შალვა მირუაშვილი, გივი აფხაზიშვილი და სხვები.

გვწამს, რომ ქვახვრელის სასოფლო კლუბთან არსებული სპორტის მოყვარულთა კლუბის საქმიანობა კიდევ უფრო მეტ გასაქანს ჰპოვებს სოფლად ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარების საქმეში.

ქვახვრელელთა ეს თაოსნობა სხვებისათვის მისაბაძად უნდა იქცეს.

**ილია თევდორაშვილი,**
**„ლელოს" კორ.**

# ემზადებიან...

**დიდ** სამზადისში არიან ჩვენი ჭაბუკი სპორტსმენები, რომლებსაც წელს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე მოუწევთ ძალების მოსინჯვა.

ახლახან თელავი მასპინძლობდა 1974-75 წლებში დაბადებულ ჭაბუკ სამბისტთა საქართველოს პირად პირველობას.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ შევხვდით ჭიდაობის გაერთიანების სამბოს განყოფილების უფროსს გია ოქროპირიძეს და ვთხოვეთ, მოკლედ ეთქვა ჩატარებული შეჯიბრების შესახებ.

— საასპარეზოდ თავი მოიყარა 230-მდე მოჭიდავემ. ეს საკმაოდ დიდი რიცხვი გახლავთ. ორთაბრძოლებიც დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობდა. გასაგებია მონაწილეთა დიდი მონდომება, წელს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ასპარეზობის სურვილი ბევრ სპორტსმენს აქვს, მაგრამ, მოგეხსენებათ, ნაკრებში ყველა ვერ დაიკავებს ადგილს, მხოლოდ ღირსეულები მიიღებენ მონაწილეობას საკავშირო სპარტაკიადაზე, რომელიც 6-11 აგვისტოს გაიმართება თბილისში.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების მიხედვით: **38** კგ. — ი. მიშელაშვილი (დუშეთი); **40** კგ. — ნ. რაზმაძე (კასპი); **42** კგ. — ვ. ყორბეზაშვილი (ახმეტა); **45** კგ. — მ. აბაშიძე (თბილისი); **48** კგ. — გ. გოჩელაშვილი (ქუთაისი); **51** კგ. — ს. ზასეშვილი (ახმეტა); **55** კგ. — რ. ყიფშიძე (თბილისი); **59** კგ. — რ. გვიჯიანი (ლენტეხი); **63** კგ. — ქ. ჯიბიშვილი (ახმეტა); **68** კგ. — მ. ჯანანაშვილი (კასპი); **73** კგ. — ლ. პეტრიაშვილი (გორი); **78** კგ. მ. ბოტკოველი (თელავი); მძიმე — ზ. გოგოშვილი (თელავი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

### მესამე ტურის მატჩები

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:0 (2:0)

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 12 აპრილი.

„გურია“: ქანთარია, მიქაბერიძე, ჩხაიძე, დანელია, კაბისაშვილი, ცომაია, ბაკურაძე, ტყებუჩავა, კორლალიძე, ფრიდონაშვილი (ლორია), ქურიძე.

„ამირანი“: მესხია, ბ. ჩხვირკია, გოგოხია, შამუგია, ახვლედიანი, აფინდოპულო, ძალამიძე, თ. კაკუბავა, ქობალია, მ. ჩხვირკია (ვართანოვი), მ. კაკუბავა.

მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

„ოზურგეთი“ (ოზურგეთი) — „შევარდენი“ (თბილისი) 2:0 (2:0)

ოზურგეთი. ქალაქის სტადიონი. 12 აპრილი.

„ოზურგეთი“: ზოიძე, ცერცვაძე, ხამაშურიძე, ათუაშვილი, კალატოზიშვილი, თეთრაძე, ამაშუკელი (მჟავანაძე), ნასუაშვილი, ჩიგოგიძე, კაშია, ბარამიძე.

„შევარდენი“: დოლიძე, ელიაშვილი, ჩხაიძე, ტარტარაშვილი, ძნელაძე, ჯოხაძე, შალამბერიძე (სამხარაძე), კაკილაშვილი, ჟვანია, ჟულიაშვილი (სხირტლაძე), მინაშვილი.

მსაჯი ვ. შელია (გაგრა).

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

● რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის (უმაღლესი ჯგუფი) III ტურის მატჩებში 5 შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა, 2-ში აღინიშნა ფრე და 2 მატჩი სტუმრებმა მოიგეს.

● სამი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით (9) ლიდერობენ „გურია“ (ლანჩხუთი), „კოლხეთი“ (ფოთი) და „ქუთაისი“ (ქუთისი).

● ჯერ ბურთი არა აქვთ გაშვებული ლანჩხუთის „გურიას“, ფოთის „კოლხეთს“ და ბათუმის „ბათუმს“.

● გოლი არ გაუტანია ასევე სამ კლუბს — გორის „დილას“, ოჩამჩირის „ამირანს“ და ცხინვალის „ლიახვს“.

● რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის III ტურში გააფრთხილეს ოთხი ფეხბურთელი. აქედან მ. აფციაურმა („გორდა“, რუსთავი) მეორე ყვითელი ბარათი დაიმსახურა. სულ ჩემპიონატში მსაჯებს ყვითელი ბარათის ჩვენება 14-ჯერ მოუხდათ.

## მსაჯთა რეესტრი

### IV ტური

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „კოლხეთი“ (ფოთი). ე. სილაგავა, მ. მალაღურაძე, ვ. ალიევი (თბილისი).

„გორდა“ (რუსთავი) — „ივერია“ (ხაშური). მ. კობიაშვილი, ო. გუნთაძე ვ. ეჯიბია (თბილისი).

„დილა“ (გორი) — „მზიური“ (გალი). მ. მირცხულავა (ლანჩხუთი), ჯ. წერეთელი, მ. ფოლადაშვილი (რუსთავი).

„იბერია“ (თბილისი) — „ლიახვი“ (ცხინვალი). მ. მაღლაფერიძე, პ. დოგრაშვილი, გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ბათუმი“ (ბათუმი). თ. ლორთქიფანიძე, ნ. კილაძე, უ. ფურცელაძე (თბილისი).

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „გურია“ (ლანჩხუთი). ა. მილჩენკო, ო. გაგუა, ვ. ტოროსიანი (სოხუმი).

„კოლხეთი“ (ხობი) — „ოზურგეთი“ (ოზურგეთი). თ. ლაცაბიძე, ი. შალამბერიძე (თბილისი), ჯ. წულუკიძე (ფოთი).

„შევარდენი“ (თბილისი) — „სანავარდო“ (სამტრედია). ს. კვარაცხელია, გ. კალანდია (ზუგდიდი), ზ. ჰინჭარაძე (ოზურგეთი).

„ცხუმი“ (სოხუმი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი). მ. მიმინოშვილი, შ. ხანიაშვილი, რ. ტალიაშვილი (თბილისი).

## სადოპინგო შემოწმება ჩემპიონატზე

**მსოფლიოს** საფეხბურთო ჩემპიონატზე იტალიაში მკაცრ ანტისადოპინგო კონტროლს დააწესებენ. ეს მოხდება სწრაფად და უაღრესად ოპერატიულად. როგორც მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი იუწყება, ანტისადოპინგო კონტროლს განახორციელებენ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სამედიცინო კომისია და იტალიის სპორტული მედიცინის ფედერაცია.

ყველა ანალიზს გააკეთებს რომის სპორტული მედიცინის ცენტრის ლაბორატორია იმ აკრძალულ ნივთიერებათა სიის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ. ყველა სტადიონზე, სადაც კი მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები იმართება, სადოპინგო სინჯის ასაღებად გამოყოფილია საგანგებო ოთახები და სამედიცინო პერსონალი. სინჯის აღებას აუცილებლად უნდა დაესწროს ფიფა-ს წარმომადგენელი, საკონტროლო სინჯარას სხვა ქალაქებიდან რომში გაგზავნიან თვითმფრინავით ან ავტომანქანით, სინჯარები ლაბორატორიაში უნდა მიიტანონ მატჩის შემდეგ დილის 10 საათამდე, ხოლო ანალიზის შედეგები უნდა გამოქვეყნდეს მატჩის დამთავრებიდან 24 საათის განმავლობაში.

დადგინდა, რომ ფეხბურთელებს შეარჩევენ წილისყრით, ტაიმებს შუა. წილისყრას უნდა დაესწროს ფიფა-ს ოფიციალური წარმომადგენელი, ამასთან, წილისყრა სათადარიგო მოთამაშეებსაც ეხება.

ფინალური გათამაშების პირველ ეტაპზე ყოველი გუნდიდან შეამოწმებენ ორ-ორ ფეხბურთელს, ხოლო მეორე ეტაპზე — სამ-სამს.

## იტალია-90



### თამაშობენ ქალები

**სსრ კავშირში** სტუმრად იმყოფება ევროპის ვიცე-ჩემპიონი ნორვეგიის ფეხბურთელ ქალთა გუნდი.

სტუმრებმა ორი მატჩი გამართეს. 12 აპრილს სევასტოპოლში დაამარცხეს სსრ კავშირის ნაკრები — 2:1, ხოლო 15 აპრილს სიმფეროპოლში ამავე გუნდთან ფრედ დაამთავრეს შეხვედრა — 0:0.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი

განვლილ შაბათს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის VIII ტურის შეხვედრები: „როტორი“ (ვოლგოგრადი) — ცსკა 0:1, „დინამო“ (მინსკი) — „არარატი“ (ერევანი) 0:0, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:0, „დინამო“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 2:0.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 17 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 7 | 5 | 1 | 1 | 14-6 | 11 |
| „დინამო“ მ. | 7 | 4 | 2 | 1 | 8-4 | 10 |
| „დნეპრი“ | 7 | 3 | 3 | 1 | 6-4 | 9 |
| „ტორპედო“ | 6 | 4 | 0 | 2 | 5-4 | 8 |
| „სპარტაკი“ | 6 | 3 | 1 | 2 | 11-9 | 7 |
| „ჩერნომორ.“ | 7 | 3 | 0 | 4 | 6-7 | 6 |
| „დინამო“ კ. | 6 | 2 | 2 | 2 | 6-4 | 6 |
| „პამირი“ | 7 | 2 | 2 | 3 | 7-7 | 6 |
| „შახტიორი“ | 6 | 2 | 1 | 3 | 3-8 | 5 |
| „მეტალისტი“ | 6 | 1 | 3 | 2 | 2-3 | 5 |
| „არარატი“ | 7 | 1 | 2 | 4 | 4-6 | 4 |
| „დინამო“ მ. | 6 | 1 | 2 | 3 | 4-7 | 4 |
| „როტორი“ | 6 | 1 | 1 | 4 | 3-10 | 3 |

## ყველა „ჰეთ-თრიკი“

ფეხბურთელი, რომელიც ერთ თამაშში 3 და მეტ ბურთს გაიტანს, ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. მსოფლიო ჩემპიონატის არც ერთი ფინალური ტურნირი არ დარჩენილა ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის გარეშე. ბომბარდირების სია, რომელთაც შეძლეს „ჰეთ-თრიკის“ შესრულება მსოფლიო ჩემპიონატების განვლილ ფინალურ ტურნირებში.

**I. ურუგვაი (1930)**

სტაბილე (არგენტინა) — 3 (არგენტინა — მექსიკა 6:3).
სეა (ურუგვაი) — 3 (ურუგვაი — იუგოსლავია 6:1).

**II. იტალია (1934)**

სკიავიო (იტალია) — 3 (იტალია — აშშ 7:1).
პონენი (გერმანია) — 3 (გერმანია — ბელგია 5:2).

**III. საფრანგეთი (1938)**

ლეონიდასი (ბრაზილია) — 4, ვილიმოვსკი (პოლონეთი) — 4 (ბრაზილია — პოლონეთი 6:5).
ვეტერსტრემი (შვეცია) — 4 (შვეცია — კუბა 8:0).
ჟენგელერი (უნგრეთი) — 3 (უნგრეთი — შვეცია 5:1).

**IV. ბრაზილია (1950)**

კრემასკი (ჩილი) — 3 (ჩილი — აშშ 5:2).
სკიაფინო (ურუგვაი) — 4 (ურუგვაი — ბოლივია 8:0).
ადემირი (ბრაზილია) — 4 (ბრაზილია — შვეცია 7:1).

**V. შვეიცარია (1954)**

კოჩიში (უნგრეთი) — 3 (უნგრეთი — სამხრეთ კორეა 9:0).
კოჩიში (უნგრეთი) — 4 (უნგრეთი — გფრ 8:3).
ბურხანი (თურქეთი) — 3 (თურქეთი — სამხრეთ კორეა 7:0).
მორლოკი (გფრ) — 3 (გფრ — თურქეთი 7:2).
პროსტი (ავსტრია) — 3 (ავსტრია — ჩეხოსლოვაკია 5:0).
ბორხესი (ურუგვაი) — 3 (ურუგვაი — შოტლანდია 7:0).
ვაგნერი (ავსტრია) — 3 (ავსტრია — შვეიცარია 7:5).

**VI. შვეცია (1958)**

პელე (ბრაზილია) — 3 (ბრაზილია — საფრანგეთი 5:2).
ფონტენი (საფრანგეთი) — 4 (საფრანგეთი — გფრ 6:3).

**VII. ჩილი (1962)**

ერკოვიჩი (იუგოსლავია) — 3 (იუგოსლავია — კოლუმბია 5:0).
ალბერტი (უნგრეთი) — 3 (უნგრეთი — ბულგარეთი 6:1).

**VIII. ინგლისი (1966)**

ეისებიო (პორტუგალია) — 4 (პორტუგალია — კორეის სდრ 5:3).
ჰერსტი (ინგლისი) — 3 (ინგლისი — გფრ 4:2).

**IX. მექსიკა (1970)**

მიულერი (გფრ) — 3 (გფრ — ბულგარეთი 5:2).
მიულერი (გფრ) — 3 (გფრ — პერუ 3:1).

**X. გფრ (1974)**

ბაევიჩი (იუგოსლავია) — 3 (იუგოსლავია — ზაირი 9:0).
შარმახი (პოლონეთი) — 3 (პოლონეთი — ჰაიტი 7:0).

**XI. არგენტინა (1978)**

რენსენბრინკი (ჰოლანდია) — 3 (ჰოლანდია — ერაყი 3:0).
კუბილასი (პერუ) — 3 (პერუ— ერაყი 4:1).

**XII. ესპანეთი (1982)**

კიში (უნგრეთი) — 3 (უნგრეთი — სალვადორი 10:1).
რუმენიგე (გფრ) — 3 (გფრ — ჩილი 4:1).
ბონეკი (პოლონეთი) — 3 (პოლონეთი — ბელგია 3:0).
როსი (იტალია) — 3 (იტალია— ბრაზილია 3:2).

**XIII. მექსიკა (1986)**

ელკიაერ—ლარსენი (დანია) —3 (დანია — ურუგვაი 6:1).
ალტობელი (იტალია) — 3 (იტალია — სამხრეთ კორეა 3:2).
ლინეკერი (ინგლისი) — 3 (ინგლისი — პოლონეთი 3:0).
ბელანოვი (სსრ კავშირი) — 3 (სსრ კავშირი — ბელგია 3:4).
ბუტრაგენიო (ესპანეთი) — 4 (ესპანეთი — დანია 5:1).

მოამზადა ნ. ბესალაშვილმა.

## ტესტ-მატჩი, ეროვნული ჩემპიონატი და სხვა შეხვედრები

(დასასრული)

შესვენებამდე ქარი სტუ-ს ეხმარებოდა, მაგრამ კობახიძეს ორი დარტყმა გაუცუდდა. „აკადემია“, რომლის შემადგენლობაშიც პირველად თამაშობდნენ სსრ კავშირის ჩემპიონატში ორი წლით, ე. ი. სამუდამოდ (!), დისკვალიფიცირებული და ეროვნული რაგბის წიაღში დაბრუნებული ბესელია, ობოლაძე და ვართანიანი, მედგრად იცავდა თავს და ამ სამეულისა და შუამარბ კალანდაძის თაოსნობით ხშირადაც მწვავედ უტევდა. და მაინც, სტუ-მ თავისას მიაღწია, როცა ფირიაშვილმა გაარღვია მოლი, გაექცა მეტოქეებს და გაიტანა ლელო, რომელიც კობახიძემ გარდასახა.

შესვენების შემდეგ როლები შეიცვალა — ახლა აკადემიელებმა შეუტიეს. მათ მშვენივრად ისარგებლეს ტექნიკოსთა უკანა ხაზის მიამიტური შეცდომებით, რამდენჯერმე ხელთ იგდეს მეტოქეთა შეუთანხმებლობით „უპატრონოდ“ დარჩენილი ბურთი და კლასიკური კონტრშეტევებით ორი ლელოც გაიტანეს: ჯერ ობოლაძემ (58-ე წუთზე, გიორგობიანის დიდებული გარღვევის შედეგად), შემდეგ ბესელიამ (68-ე წუთზე). მაგრამ „სტუმრებს“ ორივე გარდასახვა და კიდევ ერთი საჯარიმო გაუცუდდათ. სამაგიეროდ, სტუ-მ კრიტიკულ მომენტში იმარჯვა, თამაში მეტოქის ნახევარზე გადაიტანა და კობახიძემ ბოლო წუთზე საჯარიმოს შედეგებით „აკადემიას“ ზედ ცხვირწინ ააცალა მოგება.

**„იმერეთი“ (ჭიათურა) — სსი „შევარდენი“ (თბილისი) 3:0.** მასპინძლებმა არეკნით გაიტანეს ერთადერთი ბურთი და ჩემპიონატი მოგებით დაიწყეს.

**წყალტუბოს გუნდი — უნივერსიტეტი (თბილისი) 7:12 (7:12).** ანგარიში საჯარიმოთი გახსნა უნივერსიტეტელმა შერმაზანაშვილმა. შემდეგ მისმა თანაგუნდელმა ჭუმბურიძემ გაიტანა ლელო, რომელიც თავად გარდასახა — 0:9. მალე წყალტუბოელმა კირიაგიდმა და იმავე შერმაზანაშვილმა საჯარიმოები „გაცვალეს“, ბოლოს კი კირიაგიდმა ლელოც გაიტანა — 7:12. შესვენების შემდეგ თამაში აირია. ინიციატივა ხელთ მასპინძლებმა იგდეს, მაგრამ სტუმრებმა დაიცვეს თავი და გაიმარჯვეს.

დასასრულ, გულისხმიერებისა და გამოუვალ ვითარებაში ხელის გამართვისათვის საქართველოს რაგბის კავშირის საშეჯიბრებო კომიტეტი ულრმეს მადლობას მოახსენებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორატსა და სპორტკლუბს, რომელთა ნებართვითა და ხელშეწყობით პარასკევს, შაბათსა და კვირას ინსტიტუტის სტადიონზე სამი, მათ შორის — ერთი საერთაშორისო, თამაში სანიმუშოდ ჩატარდა.

• • •

**ტოკიოში** დამთავრდა 1991 წლის მსოფლიო თასის გათამაშების აზია-ოკეანეთის ზონის დასკვნითი შეჯიბრება, რომელშიც რეგიონის ოთხი გუნდი მონაწილეობდა. პირველ ორ ტურში იაპონიამ და დასავლეთმა სამოამ დაამარცხეს სამხრეთი კორეა და ტონგა, რითაც ვადამდე მოიპოვეს „ხუთი ერის პირველობის ქვეყნების“ საგზური, სადაც 1991 წლის შემოდგომაზე მეორედ გათამაშდება მსოფლიო თასი. აღსანიშნავია, რომ იაპონია აზიის ერთადერთი წარმომადგენელი იყო 1987 წელს გამართულ პირველ გათამაშებაშიც, დასავლეთმა სამოამ კი მსოფლიო რაგბის 16 უძლიერესს შორის მეზობლის — ტონგას ადგილი დაიჭირა.

• • •

**შაბათს**, ტრადიციულ სააღდგომო შეხვედრაში, „კარდიფმა“ უმასპინძლა „ბარბაროსებს“ და გაიმარჯვა — 22:13. სტუმრებს ამ თამაშისათვის უძლიერესი შემადგენლობისათვის არ მოუყრიათ თავი.

მიმოხილვა მოამზადა ზაალ ბიბინეიშვილმა.

## ევროპის სტადიონებზე

**მონტეგიუ.** საფრანგეთის ამ ქალაქში მიმდინარე 15 წლამდე ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში გავიდნენ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები. საბჭოთა ფეხბურთელებმა მანამდე ანგარიშით 1:0 სძლიეს ბელგიელებს, ხოლო გფრ-ის ნაკრებმა დაამარცხა ეგვიპტელები — 2:1.

**მადრიდი.** ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის დამთავრებამდე 4 ტურით ადრე ჩემპიონის წოდება გაინაღდა მადრიდის „რეალმა“, რომელმაც ფრედ (0:0) ითამაშა ქ. ვალიადოლიდის თანაკლუბელებთან. მადრიდის „რეალმა“ ზედიზედ მეხუთედ მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონობა.

### გადატრიალება „იუვენტუსში“

**იტალიის** ცნობილი საფეხბურთო კლუბის „იუვენტუსის“ გამგებლებს მიაჩნიათ, რომ გუნდს აშკარა ჩავარდნა აქვს მიმდინარე სეზონში, ამიტომაც საჭიროა არა პრევენტიული ზომები და „მიმდინარე რემონტი“, არამედ ძირფესვიანი გარდაქმნა.

უცხოეთის პრესა იუწყება, რომ უნდა გადადგეს კლუბის პრეზიდენტი ჯ. ბონიპერტი, უფროსი მწვრთნელის პოსტს გამოეთხოვება დინო ძოფი, რომლის ადგილს დაიკავებს წარსულში ცნობილი ფეხბურთელი მაიფრედი.

„იუვენტუსის“ მფლობელს სენიორ ანიელის არ მოსწონს თავისი კლუბის უცხოელ ფეხბურთელთა ბლოკი, საბჭოთა ფებურთელს ალექსანდრე ზავაროვს წინადადება მისცეს გადავიდეს „ბოლონიაში“, ხოლო მის თანამემამულეს სერგეი ალეინიკოვს — „ფიორენტინაში“. თუ საბჭოთა ფეხბურთელები უარს იტყვიან ამ წინადადებაზე, მათ უფლება აქვთ შინ დაბრუნდნენ, ეს პირობა კონტრაქტშიც არის აღნიშნული.

პორტუგალიელი ფეხბურთელი ბაროში გადავა სარდინიის კლუბ „კალიარიში“, „იუვენტუსის“ შემადგენლობაში კი ჩაირიცხებიან შვედი ნილსონი „მალმედან“, გერმანელი. ფეხბურთელები ჰიოსლერი „კიოლნიდან“ და როიტერი მიუნხენის „ბაიერნიდან“. „იუვენტუსის“ შემადგენლობაში ითამაშებს ფლორენციელი რობერტო ბაჯოც.

### მსოფლიო თასის გათამაშება ველოსპორტში

# მომხრენი და მოწინააღმდეგენი

**მსოფლიო** თასი ველოსპორტში პირველად შარშან გათამაშდა. მერე დადგა საკითხი: საჭიროა თუ არა ამ შეჯიბრების ხელახლა ჩატარება? ამერიკულ გაზეთს „ინტერნეშნლ გერალდ ტრიბიუნს“ მოჰყავს მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები.

ერთი მოსაზრება ასეთია: სპონსორებს გათამაშება, რა თქმა უნდა, მოეწონათ, ვინაიდან მან გარკვეული მოგება მოიტანა. გულშემატკივარი არც მაყურებელი დარჩენილა — შეჯიბრება საინტერესოდ, დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. მაშ ვინღა არის წინააღმდეგი? როგორც ირკვევა, უკმაყოფილებას გამოთქვამენ, პირველ რიგში, თავად ველოსიპედისტები, რომლებსაც არ მოსწონთ ქულათა დარიცხვის არსებული სისტემა და კატეგორიულად მოითხოვენ მის შეცვლას.

აი რა განაცხადა ამასთან დაკავშირებით ცნობილმა ირლანდიელმა პროფესიონალმა შონ კელიმ: „როცა მივხვდი, რომ მსოფლიო თასს ვლიდერობდი, მაშინვე ტაქტიკის შეცვლა გადავწყვიტე. მე უკვე აღარ ვფიქრობდი გამარჯვებაზე და თვალს მხოლოდ ჩემს უახლოეს მეტოქეებს ვადევნებდი, რომ ისინი არ გამეშვა წინ“. ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა „სუპერ იუს“ მენეჯერმა სირილ გიმარმა: „ველოსიპედისტები — ლიდერები მხოლოდ ერთმანეთს დარაჯობენ და არც ერთი არ ფიქრობს რბოლის მოგებაზე. ეს მთლიანად ეწინააღმდეგება ველოსპორტის პრინციპებს, სადაც მთავარი მიზანი, მუდამ, გამარჯვება იყო“.

კრიტიკულად არიან განწყობილი ველოსპორტის ეროვნული ფედერაციების წარმომადგენლებიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მსოფლიოს თასის გათამაშებაში ბევრი პოპულარული რბოლა არ შეიტანეს. ისეთი, მაგალითად, როგორიცაა „პარიზ-ბრიუსელი“.

1985 წლამდე მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტულ მრავალდღიან ველორბოლას „ტურ დე ფრანსს“ ცნობილი ფრანგული ფირმა „პერიე“ ატარებდა. მერე ეს შეჯიბრება 1,5 მილიონ დოლარად ამერიკულმა „კოკა-კოლამ“ იყიდა და ხარჯიც შესაბამისად ორმაგად გაზარდა. „პერიემ“ ცხადია ვერ გაუძლო კონკურენციას და დანებდა.

ახლა კი, როცა ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა ვიზა მისცა ახალ შეჯიბრებას — მსოფლიო თასს „პერიეს“ თავის გამოჩენის საშუალება მიეცა და იდეას ჩაებღაუჭა. თასის გათამაშებაში მან საკმაოდ სოლიდური თანხა დააბანდა და მოგებაც შესაბამისი მიიღო, ამიტომ „პერიე“ ამ მრავალსაფეხურიანი რბოლის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი გახდა.

მსოფლიო თასის გათამაშების პროგრამაში შეტანილია ბევრი რბოლა იმ ქვეყნების ტერიტორიაზე, სადაც ველოსპორტი პოპულარობით არ სარგებლობდა. ასეთ სწორი ნაბიჯი გამოდგა. შარშან, მაგალითად, ინგლისში აღნიშნულ ველორბოლას 200 ათასი მაყურებელი ჰყავდა. თასის გათამაშებას აშუქებს ტელევიზიაც, ეს კი წარმატების ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა. თუ ადრე ველოსიპედისტთა მსხვილ ტურნირებს 10-14 ტელეკომპანია გადასცემდა, მსოფლიო თასმა მათი რიცხვი ოცდაათხამდე გაზარდა.

ერთი სიტყვით, მსოფლიო თასი წლეულსაც გათამაშდება, როგორც საერთაშორისო ველოსპორტის კალენდრის ერთ-ერთი მთავარი ღონისძიება. იგი მოეწყობა ძველებური სქემით. სიახლეა მხოლოდ ის, რომ საგაზაფხულო რბოლაში გამარჯვებულები ნაკლებ ქულებს მიიღებენ, ვიდრე საშემოდგომო შეჯიბრებების ლაურეატები.

# ოლიმპიური მოზაიკა

● **ამერიკის** პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მხარს უჭერს ატლანტის კანდიდატურას, რომელიც ცდილობს 1996 წლის ოლიმპიური თამაშები ჩაატაროს. პრეზიდენტი კმაყოფილი დარჩა ოლიმპიური ბაზების მდგომარეობით და განაცხადა, რომ მზად არის თანადგომა გაუწიოს ამ საქმეში ქალაქის თვითმმართველობას. ბუშმა პრესკონფერენციაზე თქვა: „ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიმისოდ, რომ ოლიმპიურ მოძრაობაში არ შეიჭრეს პოლიტიკა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1980 წელს ბოიკოტი გამოუცხადეს მოსკოვის ოლიმპიადას ავღანეთის ომის გამო. თავის მხრივ, საბჭოთა კავშირმაც ანალოგიური ნაბიჯი გადადგა ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის მიმართ. ასეთი უაზრო კონფრონტაცია აღარ უნდა განმეორდეს.“

● **ჩეხოსლოვაკიის** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტზე პრეტენზიას აცხადებს ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი, წარსულში ცნობილი ტანმოვარჯიშე ვერა ჩასლავსკა. 47 წლის ჩასლავსკას მხარს უჭერს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში მყოფი ყველა სპორტული ფედერაცია. ამას წინათ პრეზიდენტობის კანდიდატმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ამ კომპანიის წარმატებით დამთავრების შემთხვევაშიც იგი დარჩება ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის ვაცლავ გაველის მრჩევლის პოსტზე კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის დარგში.

● **დამთავრდა** მარათონულ რბენაში ოლიმპიური ჩემპიონის, პორტუგალიელი როზა მოტას კონფლიქტი ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელებთან. ამასთან დაკავშირებით ორივე მხარემ ხელი მოაწერა შერიგების მემორანდუმს. ახლა პორტუგალიელებს აღარ აეჭვებთ, რომ როზა მოტა გამოვა ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში.

● **ცნობილი** ფიგურისტი ანეტ პოტჩი (გდრ) — 1980 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი დისკვალიფიცირებულია ხუთი წლით. ამ ხნის მანძილზე მას უფლება არა აქვს იმსაჯოს საერთაშორისო ტურნირები. რამ განაპირობა ასეთი მკაცრი სასჯელი? საქმე ის გახლავთ, რომ 29 წლის პოტჩი კიდევ უფრო ცნობილ ფიგურისტთან კატარინა ვიტთან ერთად გადაიღეს სატელევიზიო ფილმში „კარმენ ონ აისში“ („კარმენი ყინულზე“). მისი გამოჩენა ეკრანზე სამოყვარულო სპორტის სტატუსის დარღვევა იყო და ასეთი მკაცრი სასჯელიც სწორედ ამან განაპირობა.

● **რუმინელმა** ნიჩბოსნებმა სეულის ოლიმპიადაზე, როგორც ცნობილია, შვიდი მედალი მოიპოვეს. ეს გუნდი ახლაც საკმაო ძალას წარმოადგენს, თუმცა რუმინელი ნიჩბოსნები კარგა ხანია გადაუჭრელი პრობლემების წინაშე დგანან. საქმე ისაა, რომ ჩაუშესკუმ თავის დროზე ჩამოართვა სპორტსმენებს სასწავლო ცენტრი სნაგოვის ტბაზე და იგი საკუთარ აგარაკად გადააქცია. ახლა მისი გადაკეთება საწვრთნელ ბაზად დიდ ხარჯებს მოითხოვს. სანიჩბოსნო სპორტის ხელმძღვანელების იონ სიმბუს (პრეზიდენტი) და დან პოპერის (გენერალური მდივანი) განცხადებით ახალი ბაზის მშენებლობა გაცილებით უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე ძველის გადაკეთება. მაგრამ ფედერაციას ფული არ გააჩნია და იგი სასწრაფოდ ეძებს სპონსორებს.

● **მანჩესტერმა,** რომელიც 1996 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობას აპირებს, გამოაქვეყნა ოლიმპიურ ნაგებობათა მშენებლობის პროგრამა, რომელიც 500 მილიონ გირვანქა სტერლინგზეა გაანგარიშებული. ამ პროგრამის განხორციელება დაიწყება იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 1990 წლის სექტემბრის სესიაზე მანჩესტერს მიანიჭებს უპირატესობას.

# ჩოგბურთის ამბები

**ამელია აილენდი.** აშშ-ს ამ ქალაქში მიმდინარე ქალთა საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალში დასავლეთგერმანელმა შტეფი გრაფმა დაამარცხა ნატალია ზვერევა 7:6, 6:7, 6:1 და ფინალში ესპანელ არანტა სანჩესს შეხვდა, რომელმაც შეჯიბრებიდან არგენტინელი გაბრიელა საბატინი გამოთიშა (6:4, 6:0). ფინალი უინტერესო გამოდგა, ვინაიდან გრაფის უპირატესობა აშკარა იყო — 6:1, 6:0. სანჩესმა არგენტინელ მერსედეს პასთან ერთად წყვილთა ტურნირში იმარჯვა და პირველი ადგილი დაიკავა.

**ტოკიო.** იაპონიის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში სენსაცია მოხდა (ამ ტურნირის საპრიზო ფონდია მილიონი დოლარი). ამერიკელმა აარონ კრიკშტეინმა დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანი ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) 6:3, 5:7, 6:4. მაგრამ ეს იყო ამერიკელი ჩოგბურთელის ბოლო წარმატება. ფინალში მას შვედმა სტეფან ედბერგმა აჯობა (6:4, 7:5), რომელიც, სხვათა შორის, მეორედ გახდა იაპონიის ჩემპიონი.

# ძეგლი „გრაფის“ პარკში

**მას** შემდეგ, რაც 1988 წელს „დიდი მუზარადის“ ოთხივე ტურნირი მოიგო და საპატიო ჯილდოს დაეუფლა, მსოფლიოს მრავალმა გაზეთმა ქებით აღსავსე წერილები უძღვნა ცნობილ დასავლეთგერმანელ ჩოგბურთელს შტეფი გრაფს, მაგრამ ამავე პერიოდში ზოგიერთმა გაზეთმა სრულიად საპირისპირო რეპლიკებით „შეამკო“ ეს უნიჭიერესი სპორტსმენი. მაგალითად, იტალიელმა სპორტულმა კომენტატორმა ჩეზარე ლანტამ მას „კომპიუტერი“ უწოდა და არ დაიშურა ისეთი „ლამაზი“ სიტყვები, როგორიცაა „უხეში“ და „ძალიან ამბიციური“.

ამ ფაქტმა მთელი გერმანია აღაშფოთა. თვით კანცლერმა კოლმაც კი გაზეთ „ბილდ“-ში მოკლე განცხადება გააკეთა გრაფის დასაცავად. სადაც აღინიშნა, რომ შტეფი გრაფი ნამდვილი გერმანელი გოგონაა და რომ გერმანია ამაყობს მისით.

იგი მართლაც, რომ უსაყვარლესი პიროვნებაა თავის თანამემამულეებს შორის. ისინი არ განიცდიან იმას, რომ გრაფი ფიზიკურად არც მომხიბლავ კინომსახიობს ჰგავს და არც მანეკენს, მაგრამ იციან, რომ მას აქვს უამრავი სხვა დადებითი მხარე.

პირველი — მისი საოცარი ნიჭი ჩოგბურთში. იგი 1989 წელს საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ფინალში დამარცხდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ მისი მეორე წაგება ბოლო 47 შეხვედრაში. იგი კვლავაც აგრძელებს თავისი გამარჯვებების უწყვეტ სერიას. გრაფი შარშან ღირსეულად აღიარეს საუკეთესო ჩოგბურთელად.

თვითონ შტეფი სრულიად არ აქცევს ყურადღებას ჟურნალისტების უხეშ რეპლიკებს, არ ცდილობს რაიმეთი გამოირჩეოდეს ჩვეულებრივ ცხოვრებაში. აცვია სადად, როგორც ყველას, პრინციპულად არ დადის „მერსედესით“ და თვლის, რომ უფრო პრაქტიკულია „ოპელი“, სვამს მხოლოდ ხილის წვენებს და არა შამპანურს, კვლავაც ცხოვრობს მშობლებთან და ძმასთან ერთად მანგეიმთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქში. ასეთი საქციელით იგი რადიკალურად განსხვავდება სახელგანთქმულ ბორის ბეკერისაგან, რომელიც სისტემატიურად იცვლის ავტომანქანებს, ვილებს და მეგობარ გოგონებს. შტეფის არც მშობლიური კუთხის დატოვება სურს.... „ეს ჩვენი მიწაა, აქ დავიბადეთ, ყველაზე უფრო კარგად შტეფი აქ ისვენებს, ასე რომ, არსად გადასვლას არ ვაპირებთ“ — განაცხადა პეტერმა, შტეფის მამამ.

ასეთმა განცხადებამ აღტაცებაში მოიყვანა ამ პატარა ქალაქის (ბრულის) ხელმძღვანელობა. მას, შემდეგ, რაც გრაფმა მოიგო „დიდი მუზარადი“, ქალაქის ბურგომისტრმა გამოსცა ბრძანება, რომ ერთ-ერთ უდიდეს პარკში დაედგათ შტეფის ძეგლი, მაგრამ ამას თვითონ სპორსტმენმა შეუშალა ხელი. „ისეთი შეგრძნება მექნება, თითქოს ჩემს საფლავს ჩავუვლი გვერდს“ — თქვა მან. ამიტომ ძეგლის დადგმა სხვა დროისათვის გადაიდო, ჩათვალეს რა, რომ ის ჯერ კიდევ 20 წლის იყო.

შინ შტეფი ყველაზე ადრე იღვიძებს. ჯდება თავის ველოსიპედზე და პურზე და რძეზე მიდის მაღაზიაში. სხვათა შორის, იგი ყოველთვის მარტო საუზმობს, შემდეგ სახლის უკან მდებარე კორტზე სავარჯიშოდ გადის. საინტერესოა ისიც, რომ ხშირად მის ვარჯიშს ეზოში თვალს ადევნებს უამრავი ტურისტი, რომლებიც სპეციალურად მოჰყავთ ამ ქალაქში მსოფლიოს პირველი ჩოგანის სანახავად. გრაფს ეღიმება, როდესაც პრესის საშუალებით გებულობს, თითქოს „მისი ცხოვრება არის მხოლოდ ჩოგბურთი“ — „ეს სისულელეა. დღეში 4 საათს ვვარჯიშობ და მორჩა. დანარჩენ დროს კი სხვა საქმეებს ვუთმობ“. იგი ძალზე გატაცებულია როკ-მუსიკით, რომელსაც საკმაოდ ხშირად უსმენს. შტეფი აღფრთოვანებული იგონებს მის შეხვედრას მაიკლ ჯექსონთან ესპანეთში, სადაც მაიკლმა იგი კონცერტზე დაპატიჟა.

გრაფი გატაცებულია ისტორიითაც, დაინტერესებულია აგრეთვე ძველი არქიტექტურით, ავტომობილებით, მოდით და წიგნებით. ადრე კარგად რომ მოემზადებინა სკოლის საგნები, შეჯიბრებებზე თან დაჰყავდა მასწავლებელი. ახლა კი მისი მეგზური მისთვის ყველაზე საყვარელი მწერლების ჰემინგუეის და კინგის წიგნებია.

შტეფი საკმაოდ თავაზიანი, წყნარი და კეთილმოსურნე ადამიანია, რომელიც ყოველთვის მზად არის ჟურნალისტებთან შესახვედრად. ბევრი მეტოქე მეგობრობს კიდეც მასთან, მაგრამ არის გამონაკლისიც — გაბრიელა საბატინი, რომელიც დრო და დრო უხეში სიტყვებით იხსენიებს გრაფს. ერთი მხრივ ეს შური გასაგებიც არის, რადგანაც წლების მანძილზე ამ მშვენიერმა არგენტინელმა გოგონამ ვერაფრით ვერ მოახერხა საერთო რეიტინგში გრაფის გასწრება და ყოველთვის მეორე პოზიცია უკავია.

ცოტა ხნის წინ მთელმა დასავლეთ გერმანიამ გაიგო შტეფი გრაფის პირველი ნამდვილი რომანის შესახებ 24 წლის პროფესიონალ ჩოგბურთელ ალექსანდრე მრონცთან. ჯერ არავინ იცის, თუ როდის შეუღლდებიან ისინი, მაგრამ მრონცს რომ პირველ ჩოგანთან პაემანზე სიარული გამოადგა, ეს ფაქტია — ბოლო ერთი წლის განმავლობაში მან კლასიფიკაციაში 278-ე ადგილიდან 172-ზე გადაინაცვლა, რაშიც გარკვეული წვლილი შტეფი გრაფსაც მიუძღვის. რამდენიმე ხნის წინ მან მოიგო ტურნირი, სადაც დაამარცხა 10 საუკეთესო ჩოგბურთელთა სიაში მყოფი ცნობილი აარონ კრინშტეინი.

რაც შეეხება თვითონ შტეფის, იგი 9 საათზე წვება დასაძინებლად და საკმაოდ მკაცრად იცავს რეჟიმს. მისი მწვრთნელის აზრით, გრაფი საუკეთესო ფორმაში იქნება 2 წლის შემდეგ და თუ ეს სიტყვები გამართლდა, მაშინ წარმოიდგინეთ თუ რა სიძლიერით ითამაშებს ეს ბრწყინვალე ჩოგბურთელი.

ყველაზე უფრო კი მისი შედეგებით დაინტერესებულია ქალაქის ბურგომისტრი, რომლის თქმითაც, თუ შტეფი მეორედ დაეუფლება „დიდ მუზარადს“ (რაშიც ყველა დაინტერესებულია), მაშინ გარდაუვალია შტეფი გრაფის ძეგლის დადგმა მისსავე სახელობის პარკში.

**ალექსანდრე ჯიბლაძე.**

### „სპორტლოტო“

**15 აპრილს** გაიმართა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-15 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 4 (კრივი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 11 (ფრენბურთი), 21 (ცურვა), 34 (ბალახის ჰოკეი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 7 (კლასიკური ჭიდაობა), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 24 (ხელბურთი), 28 (ტყვიის სროლა), 31 (ფარიკაობა).

რედაქტორის მოადგილე
**უ. ჭიჭინაძე.**

### ფეხბურთი

**საქართველოს ეროვნული თასის გათამაშება**

**ასკ-ს სტადიონი**

**(ბოჭორმის ქ. № 18)**

18 აპრილი

**„მრეტები“ (თბილისი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი)**

დასაწყისი 18 საათზე.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20    უე 08779